ᲥᲝᲠᲪᲮᲔᲚᲘ
KORTSKHELI

ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ
ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲝᲞᲝᲜᲔᲜᲢᲔᲑᲖᲔ
ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ

THE PHYSICAL VIOLENCE
AGAINST POLITICAL OPPONENTS
BY THE GOVERNMENT

ანგარიში მომზადებულია საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის მიერ
The Report is prepared by Georgian Democracy Initiative

© 2016, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა – GDI
Georgian Democracy Initiative – GDI

ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 2016 JULY

სარჩევი

1. შესავალი 4
2. ქრონოლოგია 6
   საკრებულოს შუალედური არჩევნები 6
   სპორტსმენების მობილიზება 6
   „ბრძოლა წესების გარეშე“ 7
3. სამართალდამცავთა უმოქმედობა 14
4. შეფასებები 17
   ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე 17
   ვიცე-პრემიერი კახა კალაძე 17
   ირაკლი კობახიძე 19
   მამუკა მდინარაძე 19
   პრემიერ-მინისტრი 20
   საქართველოს პრეზიდენტი 21
   საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე 21
   ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების განცხადებები 22
   ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები 24
   ევროპის სახალხო პარტიის ვიცე-პრეზიდენტი 25
   ამერიკის ელჩი საქართველოში 25
   ევროკავშირის ელჩი საქართველოში 25
   ამერიკის ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) 26
5. გამოძიება 27
6. ხელისუფლების რეაქცია 30
7. სამართლებრივი შეფასება 32
8. დასკვნა 41

CONTENTS

1. Introduction 4
2. Chronology 6
   Municipal's mid-term election 6
   Sportsmen's Mobilizing 6
   MMA or "Fight without Rules" 7
3. The Law enforcers inaction 14
4. Assessments 17
   Central election commissions' chairperson 17
   Vice Prime Minister - Kakha Kaladze 17
   Irakli Kobakhidze 19
   Mamuka Mdinaradze 19
   Prime Minister 20
   President of Georgia 21
   The Chairman of the Parliament of Georgia 21
   Statements of the representatives of UNM 22
   Local Non-governmental Organizations 24
   Vice-President of the European People's Party 25
   Ambassador of the United States in Georgia 25
   Ambassador of European Union in Georgia 25
   National Democratic Institute of America (NDI) 26
5. Investigation 27
6. Government's Reaction 30
7. Legal Evaluation 32
8. Conclusion 41

შესავალი 1 INTRODUCTION

2016 წლის 22 მაისს კორცხელში მომხდარმა ძალადობამ კიდევ ერთხელ ცხადყო ის გამოწვევები, რომლის წინაშეც შესაძლებელია აღმოვჩნდეთ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დროს. შუალედური არჩევნების მშვიდ ვითარებაში ჩატარებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენდა ის ფაქტი, რომ საპარლამენტო არჩევნების წინ ეს იყო ერთგვარი ტესტი და პოლიტიკური ძალების მიერ შესაძლებლობების მოსინჯვა. სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებდა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების მაღალ ინტერესს, როგორც უშუალოდ საარჩევნო პროცესისადმი, ისე არჩევნების შედეგებისადმი.

კორცხელში გამოვლენილმა ძალადობამ, რაც საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებისა და მათი მხარდამჭერების მიმართ ფიზიკურ და სიტყვიერ ანგარიშსწორებაში გამოიხატა, კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაგვანახა, თუ რა შედეგი მოაქვს ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ძალადობის პირდაპირ თუ ირიბ წახალისებას. არასამთავრობო ორგანიზაციები უკვე წლებია ძალადობის წახალისებად მივიჩნევთ და ვაპროტესტებთ ხელისუფლების მიერ საკუთარი მხარდამჭერი მოძალადე პირების ქცევის მიმართ ლმობიერ დამოკიდებულებას (სამართალდამრღვევათა მიმართ არასათანადო რეაგირება და სახელისუფლებლო პოლიტიკოსთა მრიდან ძალადობრივი ქცევის მოწონება/გამართლება).

The act of violence in Kortskheli on May 22, 2016 once again highlighted the challenges that we might face during the October parliamentary elections. Conducting interim elections in a peaceful manned was of a particular importance due to the fact that it was a kind of test and preliminary examination of political powers before the parliamentary elections. Exactly these factors stipulated the high interest of international and local, as well as civil society organizations regarding the electoral process itself and its results.

The act of violence in Kortskheli – expressed in physical and verbal violence against the representatives of the parliamentary opposition, once again proved the negative effect of the government official's direct or indirect encouragement of violence. We, the non-governmental organizations have been considering and protesting the government's lenient attitude (improper reaction on violators acts and its approval/justification from government politicians) towards the violators

The role of the government is crucial in both, pre-election and complete election cycle processes. Ensuring free and peaceful election environment is government's absolute obligation. Kortskheli event proved that government refuses to carry out the politically

მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი როგორც წინასაარჩევნო, ასევე, სრული საარჩევნო ციკლის პროცესში. თავისუფალი და მშვიდი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა ხელისუფლების უპირობო ვალდებულებას წარმოადგენს. კორცხელში განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ სახელმწიფო უარს ამბობს განახორციელოს პოლიტიკური ნიშნით ჩადენილ დანაშაულთა პრევენცია, გამოავლინოს და აღკვეთოს მსგავსი ფაქტები, სათანადო კვალიფიკაცია მისცეს მოძალადეთა ქმედებებს და დასაჯოს ისინი. უფრო მეტიც, ხელისუფლების დამოკიდებულება კორცხელში მომხდარი ფაქტის მიმართ საზოგადოების ნაწილში საფუძვლიანად აჩენს ეჭვებს პოლიტიკური მოტივით სამართლის შერჩევითად გამოყენებისა და მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების მოძალადეებთან პირდაპირ კავშირის თაობაზე.

განსაკუთრებით დამაფიქრებელია შემთხვევის ადგილზე მყოფ სამართალდამცავთა უმოქმედობა, რომლებსაც არც ძალადობის პრევენციის მცდელობა ჰქონიათ და არც მოძალადე სამართალდამრღვევი პირები დაუკავებიათ. საგამოძიებო ორგანოების მიერ სამართალდამრღვევთა გამოვლენისა და პასუხისგებაში მიცემის გაჭიანურებამ, რასაც თან ახლდა სამართალის შერჩევითი გამოყენება საზოგადოებაში მათდამი უნდობლობა კიდევ უფრო გააღრმავა.

motivated crime prevention, identify and prevent such incidents, give proper qualification of violator's acts and punish them. Moreover, the government's attitude towards Kortskheli incident creates reasonable doubts about the usage of politically motivated selective justice and direct relationships between high-ranking officials and violators.

The inaction of the law enforcers, presented on the place during the incident is particularly concerning. They neither made an attempt to prevent the violence, nor arrested the offenders. The delay in the process of identification and prosecution of the offenders, along with the usage of selective justice, increased the distrust of the society towards the law enforcement bodies.

ქრონოლოგია 2 CHRONOLOGY

საკრებულოს შუალედური არჩევნები

2016 წლის 22 მაისს გარდაბნის, კასპის, წყალტუბოს, ოზურგეთის, ხობის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების შესაბამის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში და თბილისში, კერძოდ გლდანის მაჟორიტარულ ოლქში, საკრებულოს შუალედური არჩევნები გაიმართა. არჩევნებში სულ ექვსმა საარჩევნო სუბიექტმა მიიღო მონაწილეობა. მმართველი პოლიტიკური გუნდი – „ქართული ოცნება“ ყველა მაჟორიტარულ ოლქში იყო წარმოდგენილი. რაც შეეხება საპარლამენტო ოპოზიციას – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები კასპის, წყალტუბოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის თემის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კორცხელის თემის საარჩევნო ოლქებში იყრიდნენ კენჭს.

სპორტსმენების მობილიზება

დილიდან მედიით ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ზუგდიდში ჩასული იყო სპორტსმენთა ჯგუფი, რომელიც ჟურნალისტს გაურბოდა და ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში ემალებოდა. სპორტსმენები აცხადებდნენ, რომ ზუგდიდში გასართობად ჩასული ტურისტები იყვნენ და არჩევნებთან კავშირი არ ჰქონდათ.

MUNICIPAL'S MID-TERM ELECTION

City Council's midterm elections were conducted on May 22, 2016, in relevant local majoritarian districts of Gardabani, Kaspi, Tskaltubo, Ozurgeti, khobi and Zugdidi municipalities and in Tbilisi, in particular in Gldani majoritarian district. Totally six political parties took part in the elections. The ruling political coalition – "Georgian Dream" (hereinafter GD) was presented in all majoritarian districts. As regards the parliamentary opposition – candidates of the "United National Movement", (hereinafter UNM) were running in Kaspi and Tskaltubo municipalities and in Ozurgeti municipality – Nasakirali and Kortskheli community electoral districts.

SPORTSMEN'S MOBILIZING

The information about the sportsmen's visit in Zugdidi was disseminated by media from the morning. They avoided any contact with journalist and were hiding in botanical garden, claiming, that they were tourists having fun in Zugdidi and did not have any connection with election process.

It was nearly 13:00pm, when one of so called sportsmen tourist – Koba Tkeshelashvili's car was recorded by Rustavi 2 near Korstkheli's electoral district.

დაახლოებით 13:00 საათზე ერთ-ერთი ე.წ. სპორტსმენი ტურისტის, როგორც შემდგომ გაირკვა კობა ტყეშელაშვილის, მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანა, რუსთავი 2-ის კამერამ კორცხელის საარჩევნო უბანთან გადაიღო.

„ბრძოლა წესების გარეშე“

კადრებში ნათლად ჩანს, რომ იმ ადგილას, სადაც ენმ-ის ლიდერები და მხარდამჭერები იმყოფებოდნენ, მივიდნენ ე.წ. სპორტსმენი ტურისტები. მათ გიგა ბოკერიამ სთხოვა, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირები ერთმანეთს გამიჯვნოდნენ ექსკალაციის თავიდან არიდების მიზნით.

როგორც ენმ-ის ერთ-ერთი ლიდერი ნიკა მელია განმარტავს, იგი გადაადგილდებოდა ნაცატურის საარჩევნო ოლქიდან კორცხელის საარჩევნო უბანზე, რა დროსაც მიესალმა იქ შეკრებილ ადამიანებს. გავრცელებული ინფორმაციით საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე შეკრებილმა პირებმა ნიკა მელიას ტერიტორიის დატოვება მოსთხოვეს. კადრებში კარგად ჩანს, რომ ერთ-ერთმა პირმა ნიკა მელიას ზურგიდან სახის არეში ჩაარტყა ხელი. აღნიშნულ ფაქტს მოჰყვა ძალადობის ტალღა, რა დროსაც, ე.წ. სპორტსმენი ტურისტები (სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლები) სასტიკად გაუსწორდნენ ენმ-ის ლიდერებს.

კერძოდ, ენმ-ის ერთ-ერთ ლიდერს გიგა ბოკერიას, რომელიც მოძალადეთა ალყაში მოყოლილი თენგიზ გუნავას დახმარებას ცდილობდა, ზურგის მხრიდან მიუახლოვდა ნოშრევან წურწუმია და მოულოდნელად სახის არეში მუშტი დაარტყა.

“FIGHT WITHOUT RULES” – MIXED MARTIAL ARTS (MMA)

It is clearly seen from the records, that sportsmen’s group went to the place where leaders and supporters of UNM were gathered. Giga Bokeria asked them to separate from the people with different political views in order to avoid further escalation.

As the UNM’s one of the leaders – Nika Melia explained, he was moving from Natsaturi to Kortskheli electoral district when he greeted people. According to the disseminated information people who were gathered near the electoral district demanded him to leave the territory. The record clearly shows how one of the individuals hit Nika in face and that was how the act of violence started and so called sportsmen tourists (representatives of different sports) severely beat leaders of the UNMs.

კადრებში ასევე ჩანს თუ როგორ უსწორდებიან თენგიზ გუნავას, ემუქრებიან „სამალავში შეტენვით“ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ. გუნავას გაყვანა ადგილზე მყოფმა სამართალდამცავებმა შეძლეს. დასისხლიანებული გუნავასთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებას, გავრცელებული ინფორმაციით ლაგოდეხის რაიონის სოფელ ახალსოფლის რწმუნებულის შვილი, გოგიტა სამყურაშვილი ცდილობდა.

ძალადობის დროს ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი დაზიანება მიიღო საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა, ენმ-ის წევრმა აკაკი მინაშვილმა. გავრცელებული ინფორმაციით, აკაკი მინაშვილმა მიიღო თავის ტვინის შერყევა და ცხვირის მოტეხილობა.

მოძალადეები მედიის წარმომადგენლების მიმართაც იჩენდნენ აგრესიას და ხელს უშლიდნენ პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში. ერთ შემთხვევაში კადრებში ჩანს, თუ როგორ აყენებენ სპორტსმენები სიტყვიერ შეურაცხყოფას ჟურნალისტებს და მათი მიმართულებით ნივთებს ისვრიან.

ძალადობისას დაშავდა ორი პოლიციელი, მათ შორის, ზედაეწერის პოლიციის განყოფილების უფროსი ლაშა კვარაცხელია. შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნული ფაქტი ჟურნალისტებთან დაადასტურა.

ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლების გარდა მოძალადეები ად-გილობრივ მოსახლეობასაც გაუსწორდნენ. გავრცელებული ინფორ-მაციით მძიმე ფიზიკური დაზიანებები მიაყენეს კორცხელში ენმ-ის კანდიდატის ვარადებული ლაშხიას შვილს და ძმისშვილს, მხოლოდ

In particular, UNM's leader Giga Bokeria was trying to help Tengiz Gunava, who was in the center of violators, when Noshrevan Tsurtsumia unexpectedly punched him in the face.

The records also shows how Tengiz Gunava is beaten, threaten and insulted. Law enforcers helped him and to move away. The son of Lagodekhi district, village Akhalsopheli's prosecutor was trying to beat bleeding Gunava and was insulting him.

The member of the parliament and UNM – Akaki Minashvili got the significant health damage during the act of violence. According to the disseminated information he got brain concussion and nose fracture.

Aggression was expressed against the representatives of media and interfered their professional activities. In one of the record it is clearly seen how sportsmen insulted journalists and threw different things in their direction.

იმ მიზეზით, რომ ისინი კანდიდატის ნათესავები იყვნენ. დაზიანებების გამო, ლაშხიას ძმისშვილის საავადმყოფოში მოთავსება გახდა საჭირო.

განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდნენ:

კობა ტყეშელაშვილი – სპორტის სახეობა „ბრძოლა წესების გარეშე“ წარმომადგენელი, როგორც მედიაში გავრცელებული ფოტოებიდან ირკვევა ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილსა და იმდროინდელ ვიცე-პრემიერ კახა კალაძესთან დაახლოებული პირი;



Two policemen were injured during the violence; among them was the head of the police department of Zeda Etseri – Lasha Kvaracxelia. This fact was confirmed by the Ministry of Internal Affairs. Besides the representatives of the opposition party, local residents also became the victims of violence. UNM's candidate – Varadebuli Lashxia's son and nephew got severe physical injuries only because they were candidate's relatives. Lashxia's nephew was hospitalized due to the injuries.

Persons who were distinguished with the most aggressive behavior:

KOBA TKESHELASHVILI – representative of Mixed Martial Arts (MMA). As it is seen from the photos published in media, he has a close relationship with the former Prime Minister – Bidzina Ivanishvili and current Vice Prime Minister – Kakha Kaladze.

ნოშრევან წურწუმია – კარატეს ეროვნული ფედერაციის წევრი, „ბრძოლა წესების გარეშე“.

NOSHREVAN TSURTSUMIA – Member of the National Karate Federation, “fight without rules.”

გიგა ტყემალაძე – „ბრძოლა წესების გარეშეს“ ორგზის ჩემპიონი.

GIGA TKHEMALADZE – Twice champion in “fight without rules”.



გიო უბილავა – მკლავჭიდის ეროვნული ფედერაციის წევრი, „ბრძოლა წესების გარეშე“.

GIO UBILAVA – Member of the National Federation of arm wrestling, “fight without rules.”

აქტიურობით გამოირჩეოდა **ვლადიმერ გეგეშიძე** – ბერძნულ-რომაულ სტილში მოჭიდავე, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის ალექსანდრე ჭიკაიძის და უსაფრთხოების სამსახურის მოქმედი ხელმძღვანელის, ვახტანგ გომელაურის დაცვის უფროსის, გეგა გეგეშიძის, ძმა. გავრცელებული კადრებით ირკვევა, რომ ეს უკანასკნელი ძალადობისას იყენებდა ხელკეტს.

One of the most active actors was **VLADIMER GEGESHIDZE** – Greco-Roman style wrestler, Brother of Gega Gegeshidze, who was the head of the security of the former Minister of the Internal Affairs – Alexander Chikaidze and the current head of the State Security Service – Vakhtang Gomelauri. According to disseminated records, the latter was using truncheon during the act of violence.

გიორგი გიგაური – რაგბისტი, ქართული ოცნების აქტივისტი.

GIORGI GIGAURI – rugby player, “Georgian Dream” activists.

განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო ინციდენტში საქართველოს შეიარაღებული ძალების მოქმედი სამხედრო პირის, პირველი კლასის რიგითის, **ლაშა დვალიშვილის** მონაწილეობის ფაქტი. ეს უკანასკნელი ამავდროულად არის მსოფლიო ჩემპიონი MMA-ის წესებით ორთაბრძოლასა და გრამპლინგში.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში შიდა მოკვლევის შემდეგ ძალადობაში მონაწილე სამხედრო, საქართველოს შეიარაღებული ძალების III ქვეითი ბრიგადის 32-ე ქვეითი ბატალიონის პირველი კლასის რიგითი ლაშა დვალიშვილი შეიარაღებული ძალებიდან დაითხოვეს.

The participation of the current armed force military, the first class private soldier – LASHA DVALISHVILI in the act of violence was particularly concerning. This person is also a world champion in MMA and in the grappling.

After internal inquiry in Ministry of Defense of Georgia, the military, participating in violence, soldier of Georgia's Armed forces, and first class private of the III Infantry Brigade of the 32th Infantry Battalion – Lasha Dvalishvili was fired.

3 სამართალდამცავთა უმოქმედობა

3 THE LAW ENFORCES INACTION

გავრცელებული კადრებით ირკვევა, რომ ძალადობის მიმდინარეობისას სამართალდამცავთა ეკიპაჟები არ იყვნენ სათანადო რაოდენობით მობილიზებულნი საარჩევნო უბანთან და არც ძალადობის დასრულებამდე მომხდარა დამატებითი ძალების გამოძახება. კერძოდ, საარჩევნო უბანთან იმყოფებოდა არაუმეტეს 10 პოლიციელი. კადრებში კარგად ჩანს, რომ სამართალდამცავები ან არ რეაგირებდნენ ძალადობაზე ან/და ასრულებდნენ გამშველებლის ფუნქციას. პოლიციის წარმომადგენლები სათანადოდ მაშინაც კი არ რეაგირებდნენ, როდესაც საქმე მათ თანამშრომელზე ძალადობას ეხებოდა. მსგავსი უმოქმედობა მნიშვნელოვნად აზიანებს სამართალდამცავი ორგანოების იმიჯს, აკნინებს მათ მნიშვნელობას დანაშაულთან ბრძოლის პროცესში და ქმნის უნდობლობას მათი საქმიანობის მიმართ.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მეორე პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად, პოლიციის ფუნქციებში შედის: „დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება“ და „დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა გამოვლენა და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით მინიჭებული უფლებამოსილებების საფუძველზე“.

According to the published records, there were not enough Law enforcer's crews near the electoral district during the act of violence and no additional crews were called until the end of the incident. Nearly 10 policemen were mobilized near the districts. It is clearly visible from the videos that the policemen either did not react on violence or just tried to part people. Even when one of them became a victim of violence, there was no adequate reaction from them. There is no doubt, that such inaction from policemen damages their image, detracts their significance in fighting against crime and creates distrust among society.

According to the article 16 (c; d) of the law of Georgia on police, "policemen have to carry out preventive measures to avoid and avert crime and other offences; detect and lawfully respond to crime and other offences on the basis of the authority granted by the Criminal Procedure Code of Georgia, the Administrative Offences Code of Georgia, and other normative acts".

As it was already mentioned, it was known from the media that so called sportsmen tourists have mobilized in Kortskheli from the morning of May 22. Also, the tensions were obvious some couple of minutes earlier before the act of violence took place, which should have been an alert for the law enforcers about the upcoming danger. Act of violence

როგორც უკვე აღინიშნა, მედიის საშუალებით დილიდანვე ცნობილი გახდა ინფორმაცია კორცხელში ე.წ. სპორტსმენი ტურისტების მობილიზების შესახებ, ასევე, ძალადობამდე რამდენიმე წუთით ადრე საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაძაბული ფონი შეიმჩნეოდა, რაც სამართალდამცავი ორგანოებისთვის მოსალოდნელი საფრთხის შესახებ მნიშვნელოვანი ნიშანი სიგნალი უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ ძალადობას არ ჰქონია ერთჯერადი ხასიათი, ის ინტენსიურად გრძელდებოდა ისეთი ხანგრძლივობით (დაახლოებით 30 წუთი), რაც სრულად საკმარისი იყო სამართალდამცავთა დამატებითი ძალის მობილიზებისთვის. მიუხედავად ამისა, დამატებითი ძალების მობილიზება ფიზიკური ძალადობის დასრულებამდე არ მომხდარა.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, პოლიციელი უფლებამოსილია: „მოსთხოვს პირს, დაიცვას კანონის მოთხოვნა და შეწყვიტოს სამართალდარღვევა, ხოლო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში იღებს კანონით გათვალისწინებულ ზომებს.“

ამავე კანონის თანახმად, პოლიციელი საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად იყენებს პასიურ და აქტიურ სპეციალურ საშუალებებს. აქტიური სპეციალური საშუალებებია:

- ხელბორკილი და შებორკვის სხვა საშუალება;
- სპეციალური ხელკეტი;
- არალეტალური იარაღი;
- ელექტროშოკური მოწყობილობა და სხვა.

ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და პატივისცემა პოლიციის, როგორც სახელმწიფო ორგანოს, საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპია. აღნიშნულ პრინციპზე დაყრდნობით სამართალდამცავი ორგანოს ძირითადი ფუნქციაა საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მართლწესრიგისათვის საფრთ-

was not unitary and it lasted intensively (approximately 30 minutes), which meant that the policemen had enough time to mobilize additional forces but it did not happen till the end of the incident.

According to the article 17 of the law of Georgia on police, policeman is empowered to order a person to observe the law and stop committing an offence and in the case of failure to follow the order, take measures as provided for by law.

Based on the same law, a police officer shall use passive and active special equipment to ensure public security and legal order. Active special equipment includes:

- handcuffs and other means of restraint
- rubber batons
- non-lethal weapons
- electroshock devices

Protecting and respecting human rights and fundamental freedoms is the most important principle of the police activities. The main functions of the law enforcement bodies is to ensure the protection of public security and legal order and prevent a threat, that includes carrying out preventive measures, detecting and lawfully responding to crime and other offences based on this principle.

Article 8 – Basic guiding principles of police activity

1. **A police officer shall strictly observe the principles of protecting and respecting fundamental human rights and**

ხის თავიდან აცილება. ეს უკანასკნელი მოიცავს პრევენციული ღონის-ძიებების განხორციელებას, დანაშაულისა და სხვა სამართალდარღ-ვევათა გამოვლენას და შესაბამის სამართლებრივ რეაგირებას.

მუხლი 8. პოლიციის საქმიანობის ძირითადი სახელმძღვა-ნელო პრინციპები

1. **პოლიციელი თავის საქმიანობაში განუხრელად იცავს ადა-მიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვი-სა და პატივისცემის, კანონიერების, დისკრიმინაციის დაუშ-ვებლობის, თანაზომიერების, დისკრეციული უფლებამოსი-ლების განხორციელების, პოლიტიკური ნეიტრალობისა და პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპებს.**

მიგვაჩნია, რომ კორცხელში განვითარებული ძალადობის პროცესში სამართალდამცავთა უმოქმედობა საფუძვლიან ეჭვებს აჩენს ქვეყანაში შერჩევითი სამართლის არსებობაზე. ასეთი მიკერძოებული მიდგომა განსაკუთრებით თვალში-საცემია, თუ ერთმანეთს შევადარებთ სამართალდამცავთა რეაგირებას მმართველი გუნდის და მათ მხარდამჭერთა წი-ნააღმდეგ მიმართულ ქმედებებისადმი და იმ შემთხვევებს, როდესაც საქმე ეხება მმართველი პოლიტიკური ძალის ოპონენტების მიმართ განხორციელებულ ძალადობას.

კორცხელში ძალადობაზე არაეფექტური რეაგირებისგან განსხვავებით პოლიციის თანამშრომლები მობილიზებულ-ნი არიან გამოიყენონ ყველაზე მკაცრი ადმინისტრაციული სამართლებრივი ღონისძიება, დაკავებაც კი, მაშინ, რო-დესაც საქმე ეხება ხელისუფლებისთვის არასასიამოვნო შინაარსის შემცველი პლაკატების საჯარო სივრცეში გაკვ-რას და პროტესტის გამოხატვის შემთხვევებს.

freedoms, lawfulness, non-discrimination, proportionality, exercising discretionary power, political neutrality, and transparency

We consider that the inaction of the law enforcement bodies during the acts of violence in Kortskheli creates reasonable doubts about the usage of selective justice in the country. Such biased approach is noticeable if we compare the law enforcement body's actions to the actions against the ruling party and their supporters.

Unlike ineffective reactions on acts of violence in Kortskheli, policemen are mobilized to use the strictest administrative treatment, even arrest, when it concerns the cases of spreading unpleasant posters for government in public spaces and express protest.

შეფასებები 4 ASSESSMENTS

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

ერთ-ერთი პირველი, ვინც მომხდარი ფაქტი შეაფასა ცენტრალუ-რი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, თამარ ჟვანია იყო. მან არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ ძალებს მიმართა და შეახსენა, რომ არჩევნები ეს არის სამოქალაქო პროცესი და არა გარჩევების დღე. შესაბამისად, მან პოლიტიკურ ძალებს მოუწოდა უზრუნველე-ყოთ მაქსიმალური სიმშვიდე და თავი აერიდებინათ ყოველგვარ და-პირისპირებისგან. სამწუხაროდ მის განხადებაში არაფერი თქმულა სახელმწიფოს, მისი ორგანოების, განსაკუთრებით კი სამართალ-დამცავი უწყებების ვალდებულებასა და როლზე არჩევნების მშვი-დობიან და არაძალადობრივ გარემოში ჩატარებასთან დაკავშირე-ბით, რაც უპირველესად სწორედ სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა.

CENTRAL ELECTION COMMISSIONS' CHAIRPERSON

Central Election Commissions' chairperson – Tamar Zhvania was one of the first who assessed the fact of violence. She addressed to political forces and reminded them, that the election is a civic process and not the place of such acts. Accordingly, she called the political forces to ensure peace and try to avoid disagreements. Unfortunately, nothing was said about the government's obligation, in particular law enforcement body's duties and role in the process to conduct the elections in peaceful and non-violent environment.

ვიცე-პრემიერი კახა კალაძე

მომხდარიდან რამდენიმე საათში, ოფიციალური განმარტება გააკე-თა „ქართული ოცნების" გენერალურმა მდივანმა, ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ – „ქართული ოცნების კანდიდატები დამაჯერებლად ლიდერობენ ყველა უბანზე. სამწუხაროა, რომ ნაციონალური მოძ-რაობის ლიდერები ცდილობენ ხელოვნურად დაძაბონ ვითარება, გარკვეულ უბნებზე აწყობენ პროვოკაციას და ცდილობენ ხალხის

VICE PRIME MINISTER – KAKHA KALADZE

Several hours after the incident in Kortskheli, the official statement was made by GD's secretary general and Vice Prime Minister – Kakha Kaladze. He claimed that the candidates of GD were convincingly leading in all electoral districts and expressed his concern that the leaders of UNM were trying to aggravate the situation and were making provocations on several electoral districts to exasperate people.

გაღიზიანებას. ვერანაირი მათი პროვოკაცია საერთო ფონს ვერ შეცვლის და ისინი ვერ შეძლებენ სიტუაციის არევას. ქართული ოცნება მოუწოდებს ოპონენტებს თავი შეიკავონ პროვოკაციული ქმედებებისგან რადგან ასეთი ფაქტები ძაბავს საარჩევნო გარემოს. ქართული ოცნება ვგმობთ ყველანაირ ძალადობას და მოვუწოდებთ ჩვენს მხარდამჭერებს არ აყვნენ ოპონენტების პროვოკაციას, ვინაიდან ქართული ოცნების ინტერესებშია არჩევნები ჩატარდეს მშვიდ ვითარებაში“.

ამის შემდგომ ბრიფინგი გამართა ენმ-ის პოლიტიკური საბჭოს წევრმა გიორგი გაბაშვილმა, რასაც მოყვა კალაძის შემდგომი გამოხმაურება. მან მომხდარს ერთმნიშვნელოვნად ნაციონალური მოძრაობის პროვოკაცია უწოდა. კალაძემ აღნიშნა, რომ ენმ-ის მიერ კორცხელში ზონდერ ჯგუფის ჩაყვანა, რომელსაც მისივე თქმით გიგა ბოკერია და ლევან ბეჟაშვილი ხელმძღვანელობდნენ, ემსახურებოდა მხოლოდ არჩევნების ჩაშლის მიზანს და დიპლომატიური კორპუსის შეცდომაში შეყვანას. კალაძემ განსაკუთრებით გამოყო ჟურნალისტებისთვის საქმიანობაში ხელშეშლის და მათთვის ქვების სროლის ფაქტები და აღნიშნულშიც ენმ-ის მხარდამჭერები დაადანაშაულა. კორცხელის ინციდენტი 2012 წლის წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში მისთვის კარალეთში მოსახლეობის მხრიდან ქვების სროლის ფაქტს შეადარა და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ, მართალია, მან ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს ქვების სროლა აპატია, თუმცა ის არ აპირებდა იგივე ქმედების პატიებას ჟურნალისტების მიმართ. აღნიშნულმა განცხადებამ საზოგადოების ნაწილში სამართლიანად აღძრა ეჭვი, რომ ძალადობა ნაციონალური მოძრაობის ლიდერების მიმართ სწორედ კარალეთის ინციდენტის პასუხად ვიცე-პრემიერის მიერ ორგანიზებული ფიზიკური ანგარიშსწორება იყო.

But these provocations could not change the whole picture and they would not be able to mess-up the situation. GD called opponents to abstain from provocations, as this kind of acts strains the electoral process. GD condemned any expression of violence and called their supporters not to engage in opponent's provocations, as the conducting of peaceful elections was in their prior interest.

After that, the briefing was conducted by the member of political council of UNM – Giorgi Gabashvili, which was followed by Kakha kaladze's another statement as a response to the above mentioned briefing and said that this act was UNM's unequivocal provocation. He stated, that bringing this so called – "Sonder Brigade" in Kortskheli by UNM, which was supervised by Giga Bokeria and Levan Bejashvili aimed at disruption of the election process and the diplomatic corps were misled. Kaladze especially highlighted the facts of interference in journalist's professional activities and throwing stones in their direction and of course blamed UNM supporters in committing this acts. He compered Kortskheli incident with the pre-election campaign in 2012, when he was treated the same way in Karaleti and claimed, that he forgave UNM this act, but now he was not going to forgive the same acts against the journalists. This assessment once again proved and created reasonable doubt among society, that the actions against the leaders of UNM was the political revenge organized by the Vice Prime Minister in response to Karaleti incident.

23 მაისს, კალაძემ კვლავ გააკეთა განცხადება და აღნიშნა, რომ საარჩევნო პერიოდში მხარდამჭერების მობილიზება ნორმალური პროცესია და დასძინა, რომ კორცხელში მომხდარი დაპირისპირება მისთვის მიუღებელი იყო.

ირაკლი კობახიძე

22 მაისს „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელმა მდივანმა, ირაკლი კობახიძემ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საგარეო ურთიერთობათა მდივანი, გიგა ბოკერია, ქართული ოცნების მხარდამჭერების გამოწვევაში დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ ადგილზე შეინიშნებოდა ენმ-ის მიერ ე.წ. ზონდერ ჯგუფების წარმომადგენელთა მობილიზება.

24 მაისს კობახიძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა, რომ „ჩვენ გვქონდა მიცემული ინსტრუქტაჟი ჩვენი აქტივისტებისა და მხარდამჭერებისთვის, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა წამოგებოდნენ პროვოკაციას, მაგრამ „ნაციონალების“ ლიდერი ნიკა მელია შევიდა ჩვენი აქტივისტების ჯგუფში და გადავიდა შეურაცხყოფის მიყენებაზე“.

მამუკა მდინარაძე

მოგვიანებით განცხადება გააკეთა პარტია ქართული ოცნების პოლიტსაბჭოს წევრმა მამუკა მდინარაძემ და კახი კალაძის მიერ დასახელებული ენმ-ის ე.წ. ზონდერ ჯგუფის წევრების ამსახველი ფოტომასალა წარმოადგინა. მისი თქმით, ჯგუფი ზაზა კედელაშვილის მეთვალყურეობით და გიგა ბოკერიას მითითებით მოქმედებდა. მდი-

IRAKLI KOBAKHIDZE

On May 22nd, executive secretary of GD – Irakli Kobakhidze blamed Giga Bokeria – foreign relations secretary of UNM in provoking GD's supporters and claimed, that so called "Sonder Brigade" was mobilized at the place of incident. On May 24th, Kobakidze stated in his interview in "360 degree", that "we instructed our supporters and activists not to react on provocations, but the leader of UNM – Nika Melia entered in our supporters group and started insulting."

MAMUKA MDINARADZE

Later, the statement was made by the member of political council of GD – Mamuka Mdinaradze who presented the photos of members of so called "Sonder Brigade". As it was mentioned in the statement, the brigade was acting under the direct supervision of Zaza Kedelashvili and Giga Bokeria. Mdinaradze named the members of the brigade,

ნარაძემ ჯგუფის ის წევრებიც დაასახელა, ვინც მისი თქმით შეურაცხყოფა მიაყენეს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერ სპორტსმენებს, ჟურნალისტებს და ადგილობრივ მოსახლეობას, რასაც მოყვა დაპირისპირება. ესენი არიან: რუსლან შომახია, სამეგრელოს კუდ-ის ყოფილი უფროსი, ვლადიმერ სულუხია, თავისუფალი ზონის წევრი, რომელიც 2012 წლამდე ზუგდიდის საკრებულოში მუშაობდა, თენგიზ ჭანია, ასევე ზონდერი, ანრი ბიჭინოვი, ილია მარტყოფლიშვილი, ირაკლი ჭანტურია და თეიმურაზ ლუტიძე.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ მდინარაძის განცხადების შემდეგ მომხდარზე განმარტება გააკეთეს ამ უკანასკნელის მიერ დასახელებულმა სპორტსმენთა ნაწილმა, რომლებიც მდინარაძის განცხადებით კორცხელში პროვოკაციის მოწყობას გეგმავდნენ. როგორც სპორტსმენებმა განაცხადეს, მდინარაძის ბრიფინგის შემდეგ მათ მიმართეს პოლიციას, სადაც დააფიქსირეს, რომ მთელი დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ თბილისში და დედაქალაქის ტერიტორია არ დაუტოვებიათ. შესაბამისად ქართული ოცნების წარმომადგენლის განცხადებებს სიცრუე უწოდეს.

რამდენიმე დღის შემდეგ მდინარაძემ უარყო ზემოაღნიშნული სამი სპორტსმენის კორცხელის ინციდენტში მონაწილეობა და აღნიშნა, რომ მას არ უთქვამს ასეთი რამ, თუმცა განმარტა, რომ მითითებული პირები პროვოკაციას გეგმავდნენ.

პრემიერ-მინისტრი

23 მაისს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა, მწუხარება გამოთქვა კორცხელის ინციდენტთან დაკავშირებით

who insulted GD's supporter sportsmen, journalists and local residents which was followed by incident. Those members were: Ruslan Shomakhia – former head of the Department of Constitutional Security of Samegrelo region, Vladimer Suluxia, member of a free zone, who worked in Zugdidi City Council till 2012, Tengiz Tchania, Anri Bitchinovi, Ilia Martkoplishvili, Irakli Tchanturia and Teimuraz Lutidze.

It is notable, that after the statement made by Mdinaradze, a part of named sportsmen made comments. Soon after the statement, they addressed to police and confirmed being in Tbilisi for the whole day and the fact that they have not left the territory and accordingly the disseminated information was a lie.

Several days later Mdinaradze denied participation of those sportsmen in Kortskheli incident and said he had not claimed that, but clarified, that these men were planning provocations.

PRIME MINISTER

On May 23rd, the Prime Minister of Georgia – Giorgi Kvirikashvili, expressed condolence about the incident of Kortskheli and mentioned, that, the more

და აღნიშნა, რომ შემდგომში აუცილებელია სამართალდამცავთა მეტი მობილიზება, რათა ასეთი ფაქტი აღარ განმეორდეს თუმცა, იმავე დღეს კვირიკაშვილმა მეორე განცხადებაც გააკეთა და მიუხედავად ინციდენტში მონაწილეთა პარტიული კუთვნილებისა, მათი უმკაცრესად დასჯა მოითხოვა. კვირიკაშვილი გამოვიდა საკანონმდებლო ცვლილების ინიციატივით, რომლითაც გამკაცრდებოდა სანქციები პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში ძალადობის ყოველგვარ გამოვლინებაზე.

active mobilization of law enforcers in the future is very important and necessary in order the same facts not to be repeated. On the same day he made another statement and demanded punishment for those who participated in the incident regardless of political affiliation. Also, he made an initiative of legislative changes, which would aggravate sanctions for any expression of violence during political and electoral processes.

საქართველოს პრეზიდენტი

PRESIDENT OF GEORGIA

საქართველოს პრეზიდენტის შეფასებით მომხდარი სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული ქმედება იყო. მან სამართალდამცავ ორგანოთა არაეფექტურ რეაგირებაზე მიუთითა და შეახსენა სახელმწიფო ინსტიტუტებს მათი ვალდებულებები საქართველოს მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფის თაობაზე. პრეზიდენტის პოლიტიკური მრჩევლის, ფიქრია ჩიხრაძის, განცხადებით სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ როგორც მონაწილეები ასევე, წამქეზებლები, რადგან ეს მოვლენა იქნება უმნიშვნელოვანესი მომავალი არჩევნების ჩატარების ფსიქოლოგიურ- პოლიტიკური ფონის ჩამოყალიბებისთვის.

According to the assessment of the President of Georgia, the incident was the act directed against the state. He pointed to the ineffective reaction of the law enforcement bodies and reminded them their duty to guarantee the security of Georgian citizens. According to the statement made by the political advisor of the President of Georgia – Pikria Chikhradze, the participants and abettors must be punished exemplarily, as this incident will be very important for the formation of psycho – political background of the future elections.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

THE CHAIRMAN OF THE PARLIAMENT OF GEORGIA

კორცხელის ინციდენტის მონაწილეთა და მის ორგანიზატორთა იდენტიფიცირების და დასჯის აუცილებლობაზე მიუთითა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ყველა ვინც ძალადობის გზით შეეცდება პრობლემის მოგვარებას, ყველაზე მეტად და ყველაზე მწარედ დამარცხდება.

The Chairman of the Parliament of Georgia – David Usufashvili pointed to the necessity of punishment of the participants and the organizers of the act of violence in Kortskheli. He mentioned that everyone who will try to solve problems with violence will lose.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების განცხადებები

STATEMENTS OF THE REPRESENTATIVES OF UNM

შეფასებები გაკეთდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების მხრიდანაც. ენმ-ის პოლიტიკური საბჭოს წევრმა, გიორგი გაბაშვილმა, მომხდარზე მთელი პასუხიმგებლობა ხელისუფლებას დააკისრა. მან სამარცხვინო უწოდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თამარ ჟვანიას განცხადებას და აღნიშნა, რომ ეს არ იყო ორ პოლიტიკურ ძალას შორის საარჩევნო პროცესების ფონზე განვითარებული დაპირისპირება, არამედ ეს იყო ე.წ. „ზონდერ ჯგუფების“ გამოყენებით ხელისუფლების მხრიდან ძალადობა ენმ-ის ლიდერებზე. მან მოუწოდა ცესკო-ს თავმჯდომარეს შეესრულებინა მისი პირდაპირი მოვალეობა, დაკავშირებოდა პოლიციას და განემუხტა სიტუაცია საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე. გაბაშვილმა ხელისუფლება და ე.წ. „ზონდერ ჯგუფის“ წარმომადგენლები სინქრონულ მოქმედებაში დაადანაშაულა.

იმავე დღეს, გ.გაბაშვილმა მორიგ ბრიფინგზე მისივე განცხადებით ინციდენტში მონაწილე რამდენიმე პირის ვინაობის და კახა კალაძესთან ახლო კავშირის ამსახველი ფოტომასალა გაავრცელა. მან აღნიშნულ სპორტსმენთა ჯგუფის უშუალო ხელმძღვანელად კახა კალაძე და მისი ცოლის ძმა, გიორგი არეშიძე დაასახელა. გაბაშვილმა აღნიშნა, რომ სპორტსმენები სწორედ გიორგი არეშიძის მიერ ნაქირავებ დარბაზში ვარჯიშობდნენ.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერები მომხდარს მმართველი გუნდის მიერ საგანგებოდ ორგანიზებულ ანგარიშსწორებად მიიჩნევენ და პასუხისმგებლობას მოქმედ პრემიერსა და მთლიანად ხელისუფლებას აკისრებენ. მათი თქმით, კალაძის და ქართული ოც-

Assessments were made by the representatives of UNM. Member of political council of UNM – Giorgi Gabashvili imposed the whole responsibility on the incident to the government and called the statement of the chairman of Central Election Commission – Tamar Zhvania “shameful” and stated, that this was not the controversy between two political parties during pre-election period, but it was just the act of violence from government against the leaders of UNM with the use of so called “Sonder Brigades”.

On the same day, Giorgi Gabashvili conducted another briefing and disseminated photos identifying the persons participated in the incidents and their close relation with the Vice Prime Minister – Kakha Kaladze. He named Kakha kaladze and his brother-in-law – Giorgi Areshidze as direct leaders of the sportsmen group. He also mentioned that those sportsmen were training in the gym that was rented by Giorgi Areshidze.

The leaders of the UNM consider this incident as an organized revenge by the government and impose the whole responsibility to acting Prime Minister and the government. As they stated, blaming UNM in organizing and provoking the incident is beyond any reasoning. They consider the issue of punishment of the organizers more important than punishing direct participants and with the high probability; they linked the organization of the incident to the Vice Prime Minister – Kakha Kaladze and accordingly demanded his interrogation and addressed the issues of his political obligation.

ნების სხვა წარმომადგენლების მიერ ყოველგვარ გონივრულობას მოკლებულია მომხდარის ორგანიზების და პროვოცირების ენმ-ისთვის დაბრალება. ენმ-ში მიიჩნევენ, რომ ინციდენტში უშუალოდ მონაწილეთა პასუხისმგებლობაზე მნიშვნელოვანი, ძალადობის ორგანიზატორთა პასუხიმგებლობის საკითხია და მაღალი ალბათობით ინციდენტის ორგანიზებას/დაკვეთას ვიცე-პრემიერ კახა კალაძეს უკავშირებენ. შესაბამისად მისი დაკითხვა და პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება მოითხოვეს.

მოგვიანებით ენმ-ის ლიდერებმა გაავრცელეს დოკუმენტები (მათი ნამდვილობა არ დადასტურებულა) რომელთა მიხედვითაც, კორცხელის ინციდენტამდე რამდენიმე დღით ადრე, 2016 წლის 17 მაისს, ბრალდებულ ვლადიმერ გეგეშიძეს კომპანია „KALA KAPITAL

Альфа-Банк

107078, МОСКВА
УЛ. КАЛАНЧЕВСКАЯ, 27
ТЕЛ:(495) 974 2515
(495) 797 3260
(495) 929 9191
ТЕЛЕКС: 412089 ALFA RU
E-MAIL: MAIL@ALFABANK.RU

№ 0979-NRB / 018 от «31»мая 2016г.

ОТКРЫТОЕ АКЦИОНЕРНОЕ ОБЩЕСТВО «АЛЬФА-БАНК» (107078, г. Москва, ул. Каланчевская д.27, код ОКПО 09610444 ИНН 7728168971 БИК 044525593 к/сч. № 30101810200000000593) подтверждает, что г-ну Гиорги Гигаури (Гражданин Грузии) открыт счет № 40814502362148548 63 в валюте Долларов США - по доверенности (№ 047633357) выданный нотариальной конторой «Федин А.А» г. Сочи. тел. +7 862 264 7302 гражданину Российской Федерации Давиду Карселадзе для ведения дел Гиоргия Гигаури.

На указанном счете 17.05.2016 года 16:37 часов зафиксировано одно зачисления в долларах США - 10 000 (десять тысяч) от компании «KALA CAPITAL LIMITED» (Кипр).

Главный операционный директор
Должность Руководителя
Подпись Руководителя
Мария Шевченко
Ф.И.О Руководителя

Later the leaders of UNM disseminated documents (their authenticity was not proved) according to which, some days before Kortskheli incident, on May 17 2016, accused Vladimer Gegeshidze received 15 000$ from the company “KALA KAPITAL LIMITED” (as UNM states Kakha Kaladze is its beneficial owner) and 10 000$ from Russian citizen – Davit Karseladze. According to the same documents, on the same day 10 000$ was transferred to accused Giorgi Gigauri. Alpha Bank also confirmed that the accounts on which the amount was transferred was opened by Criminal Authority – Davit Karseladze on the bases of warrant.

The UNM refused to participate in parliamentary activities until the identification and punishment of the organizers and participants of the incident.

Альфа-Банк

107078, МОСКВА
УЛ. КАЛАНЧЕВСКАЯ, 27
ТЕЛ:(495) 974 2515
(495) 797 3260
(495) 929 9191
ТЕЛЕКС: 412089 ALFA RU
E-MAIL: MAIL@ALFABANK.RU

№ 0978-NRB / 018 от «31»мая 2016г.

ОТКРЫТОЕ АКЦИОНЕРНОЕ ОБЩЕСТВО «АЛЬФА-БАНК» (107078, г. Москва, ул. Каланчевская д.27, код ОКПО 09610444 ИНН 7728168971 БИК 044525593 к/сч. № 30101810200000000593) подтверждает, что г-ну Владимеру Гегешидзе (Гражданин Грузии) открыт счет № 40814502362148547 44 в валюте Долларов США - по доверенности (№ 047633356) выданный нотариальной конторой «Федин А.А» г. Сочи. тел: +7 862 264 7302 гражданину Российской Федерации Давиду Карселадзе для ведения дел Владимера Гегешидзе.

На указанном счете 17.05.2016 года зафиксировано два зачисления в долларах США -15 000 (Пятнадцать тысяч) в 16:08 часов от компании «KALA CAPITAL LIMITED» (Кипр) и 10 000 (десять тысяч) в 17:54 часов - от гр. Российской Федерации Давида Карселадзе (Взнос физического лица).

Главный операционный директор
Должность Руководителя
Подпись Руководителя
Мария Шевченко
Ф.И.О Руководителя

LIMITED”-ისგან (რომლის ბენეფიციარი მესაკუთრეც ნაციონალური მოძრაობის მიერ გავრცელებული ინფორმაციით კახა კალაძეა) 15 000, ხოლო რუსეთის მოქალაქე, დავით ქარსელაძისგან, 10 000 ამერიკული დოლარი ჩაერიცხა. იმავე დოკუმენტების მიხედვით, 17 მაისს 10 000 ამერიკული დოლარი ჩაერიცხა ამავე საქმეზე ბრალდებულ გიორგი გიგაურს. ალფა ბანკი ასევე ადასტურებს, რომ ანგარიშები, რომელზეც ბრალდებულებს თანხა ჩაერიცხათ მათ სახელზე კრიმინალურმა ავტორიტეტმა დავით ქარსელაძემ მინდობილობის საფუძველზე გახსნა.

ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ მომხდარის დამკვეთ(ებ)ის/ორგანიზატორ(ებ)ის და უშუალოდ მონაწილეთა დადგენამდე და მათი შესაბამისი პასუხიმგებლობის დაყენებამდე ბოიკოტი გამოუცხადა საპარლამენტო საქმიანობას.

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები

მომხდარს მყისიერი გამოხმაურება მოჰყვა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. იმავე დღეს გავრცელებულ ერთობლივ განცხადებაში აღინიშნა, რომ – „ეს არ იყო ორ მხარეს შორის დაპირისპირება, არამედ პროცესები ხელოვნურად იყო მართული და მოძალადეები წინასწარ იყვნენ საარჩევნო უბანთან მობილიზებულნი, რათა მოეხდინათ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებზე ფიზიკური ანგარიშსწორება და საარჩევნო პროცესის დესტაბილიზაცია.“ განცხადების ავტორებმა პასუხისმგებლობა მთლიანად ხელისუფლებას დააკისრა და მომხდარი შეაფასა, როგორც არა მხოლოდ კონკრეტული პარტიის წინააღმდეგ მიმართული, არამედ როგორც თავისუფალი არჩევნების წინააღმდეგ მიმართული მოქმედებები.

LOCAL NON-GOVERNMENTAL ORGANIZATIONS

The act of violence was rapidly responded by the local non-governmental organizations. According to the joint statement disseminated on the same day, “the incident was not a spontaneous conflict between two sides, but a controlled process with the perpetrators of the assault mobilized near the precinct in advance, in order to physically attack the UNM members and destabilize the election process”. The undersigned organizations imposed the whole obligation to the government and assessed the act not as only directed against the concrete party but as directed actions against the free elections.

ევროპის სახალხო პარტიის ვიცე-პრეზიდენტი

VICE-PRESIDENT OF THE EUROPEAN PEOPLE'S PARTY

განსაკუთრებით უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა მომხდარ ძალადობას საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. ევროპარლამენტის წევრმა ევროპის სახალხო პარტიის ვიცე-პრეზიდენტმა, იაცეკ სარიუშ ვოლსკიმ, დაგმო და „წინასაარჩევნო კამპანიის დამთრგუნველი დასაწყისი“ უწოდა კორცხელში მომხდარ ძალადობას.

The act of violence had particular negative feedback from international community. Jacek Saryusz-Wolski, the member of the European Parliament and Vice-President of the European People's Party, condemned and the act of violence in Kortskheli and named it "outrageous, shameful face of Georgian Dream campaigning strategy".

ამერიკის ელჩი საქართველოში

AMBASSADOR OF THE UNITED STATES IN GEORGIA

ძალიან სამწუხარო უწოდა და პოლიტიკურ ძალადობად შეაფასა მომხდარი ამერიკის ელჩმა საქართველოში, იან კელიმ. მისი თქმით „დემოკრატიულ საზოგადოებაში საერთოდ არ უნდა ჰქონდეს ადგილი პოლიტიკურ ძალადობას, ვინაიდან ეს დაუშვებელია, განსაკუთრებით არჩევნების პერიოდში“.

The Ambassador of the United States in Georgia Ian Kelly assessed the incident as a political violence. According to him, "political violence should not have place in a democratic society. Such violence is unacceptable, especially during elections".

ევროკავშირის ელჩი საქართველოში

AMBASSADOR OF EUROPEAN UNION IN GEORGIA

მომხდარი დაგმო და სამართალდამცავებს გამოძიებისკენ მოუწოდა ევროკავშირის ელჩმა საქართველოში, იანოშ ჰერმანმა. ჰერმანის განცხადებით – „სახელმწიფოში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების ვალდებულება მთავრობას ეკისრება, სწორედ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს არჩევნების მშვიდ ვითარებაში წარმართვა“.

The Ambassador of European Union in Georgia Janos Herman condemned the incident and called the law enforcers for investigation. According to Herman's statement – "it is government's responsibility to maintain peace and stability in the state, exactly the government should ensure conducting elections in peaceful environment".

ამერიკის ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI)

NATIONAL DEMOCRATIC INSTITUTE OF AMERICA (NDI)

მნიშვნელოვანია ამერიკის ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ 2016 წლის 17 ივნისს გამოქვეყნებული წინასაარჩევნო დელეგაციის ანგარიში. NDI შეშფოთებას გამოთქვამს კორცხელში მომხდარ ძალადობასთან დაკავშირებით და რეკომენდაციით მიმართავს სახელისუფლებო ორგანოებს 22 მაისის კორცხელის ინციდენტზე პასუხისმგებელ პირებთან დაკავშირებით ჩაატაროს სწრაფი და გამჭვირვალე გამოძიება დამნაშავე პირთა დროულად გასამართლების მიზნით, რაც იქნება მნიშვნელოვანი გზავნილი არჩევნებთან მიმართებაში ძალადობის შეუწყნარებლობასთან დაკავშირებით.

ანგარიშში ყურადღებაა გამახვილებული მთავრობისა და მმართველი პარტიის ზოგიერთი თანამდებობის პირის მწვავე საჯარო განცხადებებზე, რითაც ანგარიშის ავტორთა აზრით მოხდა პასუხიმგებლობის თავიდან არიდება და ფაქტების არასწორად წარმოჩენა.

NDI-ის ევრაზიის რეგიონული პროგრამების დირექტორმა ლორა ჯუიტმ განაცხადა, რომ „არჩევნების შედეგები და ამ პროცესის კეთილსინდისიერად ჩატარება დამოკიდებულია სამი ძირითადი გამოწვევის დაძლევაზე, აღმოფხვრილი უნდა იყოს შესაძლებლობა ძალადობის და დაშინების, ასევე უნდა დაიძლიოს ის მოლოდინი, რომ გარკვეულწილად მიკერძოებული წესით მოხდება კანონმდებლობის აღსრულება, ასევე, აღქმა იმის, რომ გარკვეულმა პირებმა შესაძლოა კულისებს მიღმა გავლენა მოახდინონ პროცესებზე“.

The pre-election delegation report of the National Democratic Institute of America published on June 17, 2016 is very important. NDI expressed deepest concern about the act of violence in Kortskheli and recommended the state bodies to conduct fast and transparent investigation regarding the persons responsible for May 22 Kortskheli incident and to bring perpetrators to the trial in due course, which would be a significant message concerning intolerance regarding the violence during the elections.

The report also emphasized public statements of the government officials and the representatives of the ruling party, trying to avoid the responsibility on the incident and the whole picture was wrongly represented.

NDI's Regional Director for Eurasia – Laura Jewett stated that "the election results and the peaceful electoral process depend on the overcoming of three primary challenges: elimination of the possibility of violence and intimidation, overcoming the expectation that the law enforcement will be somewhat biased, as well as the perception that certain people might influence the processes behind the scenes".

გამოძიება 5 INVESTIGATION

კორცხელში მომხდარი ძალადობის ფაქტზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება იმავე დღე სსსკ-ის 125-ე მუხლით (ცემა) დაიწყო. 2016 წლის 24 მაისს 6 სპორტსმენი ადვოკატთან ერთად თავისი ნებით გამოცხადდა სამართალდამცავ ორგანოში. ექვსი საათის განმავლობაში, მიტინგის ფონზე მიმდინარეობდა აღნიშნულ პირთა გამოკითხვა, რის შემდეგაც ე.წ. სპორტსმენებმა ტურისტებმა დატოვეს საგამოძიებო ორგანო. საგამოძიებო ორგანოს დატოვების შემდეგ ერთ-ერთი გამოკითხულის, შერეული ორთაბრძოლების ფედერაციის პრეზიდენტის – კობა ტყეშელაშვილის – ადვოკატმა განაცხადა, რომ ტყეშელაშვილმა საგამოძიებო ორგანოს დაზარალებულად ცნობა მოსთხოვა. ადვოკატის განმარტებით, მის დაცვის ქვეშ მყოფს ინციდენტში მონაწილეობა არ მიუღია და პირიქით, მაჯაზე დაზიანება თავად მიაყენეს.

2016 წლის პირველ ივნისს ათმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გაავრცელა ერთობლივი განცხადება, რომლითაც კორცხელში მომხდარი ფაქტის სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის შეცვლას და გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებას ითხოვდნენ.

იმავე დღეს ძალადობაში მონაწილე ხუთ პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მეორე

The Ministry of the Internal Affairs started investigation under the article 125 (Battery) of Criminal Code (hereinafter CC) of Georgia on the same day the act of violence took place. On May 24, 2016, six sportsmen together with the lawyers had voluntarily appeared in the law enforcement body, where their interrogation was going in light of the demonstration. After which the so called sportsmen tourists have to leave the Investigation body. One of the tourist's – Koba Tkeshelashvili's (the president of the Federation of mixed martial arts) lawyer said that Tkeshelashvili asked for the status of a victim. The lawyer explained that his client had not participated in the incident and in contrary; he has got the wrist injury.

On the first of June 2016, ten non-governmental organizations released joint statement, by which they requested the changes in criminal requalification of Kortskheli incident and the disclosure of the investigation progress.

On the same day, charges were brought to five persons participated in the incident under article 239, (2-a) (CC) and to one person under article 239, (2-3). In the first case, the qualification of action envisages hooliganism, pre-agreed by the group, while in the second case,

ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ხოლო ერთ პირს იმავე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით წარედგინა. პირველ შემთხვევაში, ქმედების კვალიფიკაცია გულისხმობს ხულიგნობას, ჩადენილს წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ხოლო მეორე შემთხვევაში, ხულიგნობას, წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ, იარაღად სხვა საგნის გამოყენებით. პროკურატურამ აღკვეთის ღონისძიების სახით ხუთი ბრალდებულისთვის შვიდი ათასი ლარის, ხოლო ერთი მათგანისთვის ათი ათასი ლარის გირაოს შეფარდება მოითხოვა, რაც ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა. 2015 წლის 3 ნოემბერს, ქუთაისში, ოპოზიციური არხის მხარდამჭერი აქციის დროს პარლამენტის დეპუტატ დავით ლორთქიფანიძესთან დაპირისპირებისას, ამ უკანასკნელის სათვალისა და პიჯაკის დაზიანების გამო (მიყენებული ზიანი 70 ლარს შეადგენდა), პარლამენტის შენობასთან გამართულ აქციაზე 3 პირი დააკავეს და ბრალად ჯგუფურად ხულიგნობის ჩადენა წაუყენეს. აღნიშნულმა პირებმა პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე რამდენიმე თვე წინასწარ პატიმრობაში გაატარეს, ხოლო როგორც უკვე აღვნიშნეთ კორცხელის ინციდენტში ბრალდებულ პირებს პროკურატურისვე შუამდგომლობით აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეეფარდათ. ზემოთ მოყვანილი ორი ფაქტის შედარება პროკურატურის მიერ სამართლის შერჩევითად გამოყენების კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია.

2016 წლის 17 ივნისს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების მიერ რუსული სააქციო საზოგადოება ალფა-ბანკის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტები გასაჯაროვდა, რაც მომხდართან ვიცე-პრემიერ კახა კალაძის კავშირზე მიუთითებდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიცე-პრემიერის დაკითხვას ითხოვდნენ ოპოზიციის ლიდერები. კალაძის შესაძლო დაკითხვის თაობაზე

hooliganism, pre-agreed by the group, committed with the use of other object as a weapon. Prosecution demanded the bail with the amount of 7000GEL for five accused and10 000 GEL for one accused as a preventive measure which was upheld by Zugdidi regional court. On November 3, 2015, during the supporting demonstration for the opposition channel in Kutaisi while the controversy against the MP Davit Lortkipanidze, his glasses and coat was damaged, (damages worth 70GEL). 3 persons were arrested during the demonstration held in front of the Parliament building and were charged for hooliganism committed by the group. The above mentioned individuals spent several months in pre-trial detention based on the motion of prosecutor and in contrary the accused persons of incident in Kortskheli were charged with bail. Comparison of these two facts is a remarkable example of the use of selective justice.

On May 17th 2016, the representatives of UNM disseminated the official documents issued by Russian “Alpha Bank Ltd.”, which pointed the connection between the incident in Kortskheli and Vice Prime Minister – Kakha Kaladze. Accordingly, opposition leaders were demanding interrogation of Kaladze. Prosecutor General – Irakli Shotadze commented about the alleged interrogation, that there was no necessity of interrogation Vice Prime Minister. On June 21st, 2016 media disseminated interview of accused Vladimer Gegeshidze, where he addressed to the representatives of the UNM and suggested them to be careful with him. Despite the threat from the accused Gegeshidze, as it is know, this fact did not fall within the sphere of investigators interest.

საქართველოს მთავარმა პროკურორმა, ირაკლი შოთაძემ განმარტა, რომ ასეთი საჭიროება გამოძიების წინაშე არ იდგა.

2016 წლის 21 ივნისს მედიით გავრცელდა კორცხელის ძალადობაში ბრალდებული ვლადიმერ გეგეშიძის ინტერვიუ, სადაც იგი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს მიმართავს და ურჩევს უფრთხილდნენ მას. მიუხედავად ბრალდებულის მიერ სავარაუდო მუქარის შემცველი განცხადებისა, როგორც ჩვენთვის ცნობილია გამოძება ამ ფაქტით არ დაინტერესებულა.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ კორცხელში მომხდარ ძალადობაში გარდა ბრალდებული პირებისა, ასევე, მონაწილეობდნენ სხვა იდენტიფიცირებადი პირები.

It is also important, that beside the accused persons in the act of violence in Kortskheli, other identifiable persons were participating in the incident.

ხელისუფლების რეაქცია 6 GOVERNMENT'S REACTION

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივას, გამკაცრებულიყო სანქციები პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში ძალადობის ყოველგვარ გამოვლინებაზე, შედეგად პარლამენტში შესაბამისი ცვლილებების ინიცირება მოჰყვა.

შეთავაზებულმა ცვლილებებმა სამოქალაქო საზოგადოებაში გარკვეული სკეპტიციზმი გამოიწვია. აღსანიშნავია რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ერთი მხრივ, მიესალმებიან მსგავსი ძალადობის გამოვლინებებზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამკაცრებას, თუმცა მეორე მხრივ მიაჩნიათ, რომ მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებშიც სავსებით შესაძლებელია მოძალადე პირების დასჯა. შესაბამისად პრობლემა დგას არა კანონმდებლობის არასრულყოფილებაში, არამედ ხელისუფლების ნების არარსებობაში განახორციელოს ძალადობის პრევენცია, აღკვეთა და მოძალადეების დასჯა.

2016 წლის 24 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა იუსტიციის სამინისტროს მიერ ინიცირებული ცვლილებების პროექტი.

ცვლილების თანახმად ერთიდან ორ წლამდე გაიზარდა თავისუფლების აღკვეთა ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებისთვის. ასევე,

The initiative of the Prime Minister to aggravate the sanctions for any expression of violence during political and electoral processes was followed by the legislative initiative in the Parliament.

The suggested changes caused skepticism within the civil society. It has to be mentioned, that the non-governmental organizations on one hand welcome the aggravation of the sanctions for such expression of violence, but on the other hand they consider that punishing violators is absolutey possible in frames of the applicable legislation. The problem lays not in the imperfection of the legislative norms but in the absence of the government's will to prevent and restraint the acts of violence and punish the violators.

On June 24th, 2016, the Parliament adopted the legislative changes initiated by the Ministry of Justice on the 3rd hearing.

According to the changes, the term of imprisonment was increased from one to two years in case of less grave bodily injury, also the restriction of the battery or violence or threat of violence in electoral district, or in the placement of election committee or in the surrounding area was defined as separate crime. The sanction of the crime is fine and/or imprisonment up to two years. If the same committed act causes

სისხლის სამართლის კოდექსს ცალკე დანაშაულად დაემატა ქმედება, რომლის არსია საარჩევნო უბანზე, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას, ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ცემის ან სხვაგვარი ძალადობის ან ძალადობის მუქარის აკრძალვა. დანაშაული ჯარიმით ან/და ორ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით ისჯება, ხოლო თუ იგივე ქმედებამ ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება გამოიწვია ან ის ჩადენილია ჯგუფურად, თავისუფლების აღკვეთის სანქცია შესაბამისად სამი და ორიდან ხუთ წლამდე ვადით განისაზღვრება.

საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებით პოლიციის მუშაკებს გამონაკლის შემთხვევებში უფლებამოსილება ენიჭებათ საუბნო საარჩევნო კომისიის ნებართვის გარეშე იმყოფებოდნენ კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე და არა საკუთრივ კენჭისყრის შენობაში, თუ ეს სრულიად აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღკვეთის ან დაცვის მიზნით. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღკვეთის თანავე და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში პოლიციის მუშაკები ტოვებენ კენჭისყრის შენობას და მის მიმდებარე ტერიტორიას.

intentional less grave bodily injury or is committed by the group, the sanction would be imprisonment with the terms of accordingly by 3 and from 2 to 5 years.

According to the legislative changes, the policemen in exceptional cases are empowered to be presented in the surrounding (and not inside) of the electoral district building without special permission of the district election commission, if it is necessary to prevent and protect the infringement of the public order. Upon prevention of the infringement of the public order and with the permission of the chairman of the district election commission, the policemen are obliged to leave the territory.

სამართლებრივი შეფასება 7 LEGAL EVALUATION

როგორც უკვე აღინიშნა შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება მომხდარზე სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით (ცემა) დაიწყო. აღნიშნული შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სამართალდამცავთა მიერ ქმედებისთვის არასწორი კვალიფიკაციის მინიჭება. მედიაში გავრცელებული ინფორმაცია (მათ შორის ვიდეო ჩანაწერები) მოძალადეთა ქმედებების არაერთი ნაკლებად მძიმე და მძიმე ხარისხის დანაშაულის სავარაუდო ჩადენაზე მიუთითებს, რომელთაგან „ცემა“ ქმედების ყველაზე მსუბუქ სისხლისსამართლებრივ კვალიფიკაციად გვევლინება.

> **მუხლი 125. ცემა**
>
> 1. **ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, – ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოცდან ას ოთხმოც საათამდე ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით თხუთმეტ თვემდე.**

24 მაისს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, გიორგი მღებრიშვილმა, არ გამორიცხა გამოძიების ფარგლებში სისხლის სამართლის საქმეზე კვალიფიკაციის შეცვლა. მღებრიშვილმა იმავე დღეს,

As it was already mentioned, the Ministry of the Internal Affairs started investigation under on the article 125 (1) (Battery), which can be considered as an incorrect qualification of the act. According to the information disseminated in the media (including video records), the acts of violators points at alleged commitment of several less grave and grave crimes, from which the “battery” is the lightest criminal qualification.

> **Article 125 – Battery**
>
> 1. **Battery or other violence that has caused the victim physical pain, but has not incurred the consequences provided for by Article 120 of this Code, – shall be punished by a fine or community service from 120 to 180 hours or with corrective labor for up to 15 months.**

On May 24, Minister of the Internal Affairs – Giorgi Mgebrishvili, did not exclude the possible changes in criminal qualification in frames of investigation. On the same day he announced the alleged referral to the court for issuance the ruling for the arrest of persons involved in the incident. It should be mentioned, that article 125 (1) – Battery, under which the investigation was carried out, does not envisage

სასამართლოსთვის ინციდენტში მონაწილე პირების დაკავების განჩინების გაცემის თაობაზე სავარაუდო მიმართვის შესახებ დააანონსა. აქვე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილი, ცემა, რომლითაც საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა სასჯელის სახით პატიმრობას არ ითვალისწინებს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, პირის დაკავების წინაპირობას წარმოადგენს იმგვარი დანაშაულის ჩადენა, რომლისთვისაც კანონი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ბუნდოვანია შსს მინისტრის განცხადება გამოძიების სსკ-ის 125-ე მუხლით მიმდინარეობის ფარგლებში სასამართლოსთვის მოძალადეთა დაკავების შესახებ მიმართვის თაობაზე, თუმცა სავარაუდოა ისიც, რომ მინისტრი გულისხმობდა კვალიფიკაციის შეცვლის შემდგომ მათ დაკავებას. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე კვალიფიკაცია შეიცვალა, პროკურატურამ ბრალდებულების მიმართ აღვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდება მოითხოვა.

მუხლი 171. დაკავების საფუძველი

1. **თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, ამასთანავე, პირი მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს, გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს პროკურორის შუამდგომლობით, ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება პირის დაკავების თაობაზე. ეს განჩინება არ გასაჩივრდება.**

imprisonment as a type of punishment. According to article 171 (1) of the Criminal Procedure Code, the grounds of the arrest is a probable cause that a person has committed a crime for which the law stipulates imprisonment. The statement of the Minister of the Internal Affairs regarding referral to the court for arresting violators in frames of investigation under article 125 was vague; however it is also likely, that the Minister meant their arrest after the changes in qualification. Despite the fact, that the qualification on the above mentioned criminal case had changed, the prosecutor's office demanded bail as a preventive measure.

Article 171 – Grounds for arrest

1. **If there is probable cause that a person has committed a crime for which the law stipulates imprisonment, or the person will flee or will not appear before a court, destroys information important for a case, or will commit a new crime, upon motion of the prosecutor, the court, according to the place of investigation and without oral hearing, shall deliver a ruling for the arrest of the person. The ruling may not be appealed.**

The qualification of violator's acts under the article imposed to them is mostly correct, but not exhaustive. Such important interests as health, smooth realization of basic human rights guaranteed by the Constitution, legal activities of public authority and his/her personal safety protected by the Criminal Code remained outside the prosecution.

It should be highlighted, that the fact of violators non-compliance to the law enforcement official's lawful demand is clearly seen from the

მეტწილად სწორია, თუმცა არა ამომწურავი, მოძალადეთა ქმედების კვალიფიკაცია იმ მუხლით, რაც მათ ბრალდების სახით წარედგინათ. ბრალდების მიღმა დარჩა სისხლის სამართლის კოდექსით დაცული ისეთი მნიშვნელოვანი სიკეთეები, როგორიცაა ადამიანის ჯანმრთელობა, კონსტიტუციით დაცული ადამიანის ძირითადი უფლებების შეუფერხებლად რეალიზება, ხელისუფლების წარმომადგენლის კანონიერი საქმიანობა და მისი პირადი უსაფრთხოება.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ კორცხელის ინციდენტის ამსახველ ვიდეომასალაში ნათლად ჩანს მოძალადეთა მხრიდან სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევები. მაგალითად, მოქალაქეზე ფიზიკური ანგარიშსწორებისას მოძალადეები არ ემორჩილებიან პოლიციელების მოთხოვნას და აგრძელებენ დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებას. წინამდებარე გარემოება კიდევ უფრო ამძიმებს ინციდენტში მონაწილე პირთა ქმედების კვალიფიკაციას, კერძოდ სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ხულიგნობის დამამძიმებელ გარემოებად აცხადებს ამ მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას (ხულიგნობას) ჩადენილს ხელისუფლების წარმომადგენლის ან ხულიგნობის აღმკვეთი სხვა პირის მიმართ.

ამასთან, იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ თუ ქმედება, რომელიც გამოიხატა ხულიგნობაში, სსკ-ის 239-ე მუხლით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს ხელყოფს იმაზე მაღალი ინტენსივობით ვიდრე მას იცავს თავად ეს მუხლი, ცალკე დანაშაულად უნდა განვიხილოთ. კერძოდ, ხულიგნობა, ეს არის ქმედება რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუ-

presented video materials reflecting Kortskheli incident. For example, during the physical violence, the violators disobeyed policemen's orders and continued committing criminal act. This circumstance aggravates the qualification of acts committed by the persons involved in the incident, in particular, according to the article 239 (2-B) CC, aggravating circumstance for hooliganism is hooliganism committed against a representative of public authorities or a person preventing hooliganism;

Thereby, according to the common opinion in legal literature, if the act which was expressed in hooliganism infringes the legal interest protected under article 239 (CC) with higher intensity than it is protected by this article, it should be considered as an independent crime. In particular, this is the act that grossly violates public order and demonstrates clear disrespect towards the public, using violence or threat of violence. Herewith, in hooliganism, the result of the violence should be the less grave bodily injury. Accordingly, if the hooliganism resulted serious or particularly serious bodily injury, the act should be qualified under article 239(CC) in conjugation with articles 118 or 119 (CC).

Article 239 – Hooliganism

1. **Hooliganism, i.e. an act that grossly violates public order and demonstrates clear disrespect towards the public, using violence or threat of violence, – shall be punished by a fine or community service from120 to 180 hours or with corrective labor for up to a year or with imprisonment for the same term.**

ქარით. ამასთან, ხულიგნობისას ძალადობის შედეგი ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება უნდა იყოს. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ხულიგნობას შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დაზიანება ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 239-ე და შესაბამისად 118-ე ან 117-ე მუხლებთან ერთობლიობაში.

მუხლი 239. ხულიგნობა

1. ხულიგნობა, ესე იგი ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, – ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოცდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:
   ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;
   ბ) ხელისუფლების წარმომადგენლის ან ხულიგნობის აღმკვეთი სხვა პირის მიმართ;
   გ) ხულიგნობისათვის მსჯავრდებულის მიერ, – ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღის ან იარაღად სხვა საგნის გამოყენებით, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე

2. The same act committed:
   a) By a group with the preliminary agreement;
   b) Against a representative of public authorities or a person preventing hooliganism;
   c) By a person convicted of hooliganism, –
   Shall be punished by a fine or community service from 180 to 200 hours or with corrective labor from one to two years or with imprisonment for a term of two to five years.
3. The act provided for by paragraphs 1 or 2 of this article committed by using firearms or any other object as a weapon, – shall be punished by imprisonment for a term of four to seven years.

Article 100 of Criminal Procedure Code (CPC), obliges the investigation body to immediately start investigation on the grounds of information, including information published in media, which contains the elements of a crime. Accordingly, the incomplete/incorrect qualification of acts with alleged elements of a crime always creates doubts within objective observer about the incompetence of law enforcement bodies and/or their negligence to the requirements of the law.

Article 100 – Obligation to initiate an investigation

1. When notified of the commission of an offence, an investigator, prosecutor shall be obliged to initiate an investigation. An investigator shall immediately notify a prosecutor of the commencement of an investigation.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლი ავალ-დებულებს საგამოძიებო ორგანოებს დაუყოვნებლივ დაიწყონ გამოძიება ინფორმაციის, მათ შორის, მედიაში გავრცელებული ინ-ფორმაციის საფუძველზე, რომელიც შეიცავს დანაშაულის ნიშნებს. შესაბამისად, სავარაუდო დანაშაულის ნიშნების მქონე ქმედებების არასრული/არასწორი სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაცია ობიექტურ დამკვირვებელს ყოველთვის უჩენს ეჭვს მინიმუმ, სამარ-თალდამცავი ორგანოს არაკომპეტენტურობის ან/და მათი მხრივ კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფის თაობაზე.

მუხლი 100. გამოძიების დაწყების მოვალეობა

1. **დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება. გამომძიებლის მიერ გამოძიების დაწყების თა-ობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს**

მომხდარის სწორად შეფასების შემთხვევაში, რთულად დასადგენი არ იყო, რომ გარდა ხულიგნობისა, გარკვეული პირების მხრიდან ადგილი ჰქონდა პირთა დევნას პოლიტიკური ნიშნით.

ძალადობაში მონაწილე პირები არ მალავდნენ და შემდეგ სოცი-ალურ ქსელში მათ პირად გვერდზე გავრცელებული ფოტო მა-სალიდანაც ცხადი გახდა, რომ მოძალადეთა გარკვეულ ნაწილს ახლო ურთიერთობა აკავშირებს მმართველი პოლიტიკური გუნდის წარმომადგენლებთან, მათ შორის, ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბი-ძინა ივანიშვილთან და ვიცე-პრემიერ კახა კალაძესთან. უმეტესმა მათგანმა საჯარო გამოსვლებში დაადასტურა, რომ არიან „ქართული

In case of correct assessment of the fact, it was easy to establish, that except of hooliganism, there was a vivid persecution of persons on political grounds. The violators did not hide their close relationships with the representatives of ruling party, which afterwards became obvious after posting photos in their personal accounts on social network Facebook, including with former Prime Minister – Bidzina Ivanishvili and Vice Prime Minister – Kakha Kaladze. Most of them publicly confirmed that they are the supporters of GD and in some cases activists. The photo materials posted on the personal account of Noshrevan Tsurtsumia one day before the incident, which was made publicly available by media, are particularly important. On the photo we see accused Noshrevan Tsurtsumia, Gio Ubilava and Giga Tkemaladze showing fists and the photo is named – "Going Out". We can also hear alleged violators voices with call for physical violence against specific politicians. The above mentioned in conjunction with the standard of reasonable doubt points to the act committed with prior agreement, politically motivated prosecution against persons with different political views.

The alleged commitment of the crime envisaged by the article 353 (CC) should be discussed in the context of non-compliance to the law enforcement officials and their physical abuse. The above mentioned article includes resistance, threat or violence against a protector of public order or other representative of the authorities, which aims to interfere with the protection of public order, terminate or modify the activities of the above person. The crime is aggravated by its commitments by a group.

In case of Kortskheli, there was clear and harsh resistance and the facts of physical injuries of policemen was revealed (see above) which

ოცნების“ მხარდამჭერები და ზოგ შემთხვევაში, აქტივისტებიც კი. აღნიშნულ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფოტომასალა, რომელიც, როგორც მედიასაშუალებით გახდა ცნობილი, ნოშრევან წურწუმიას პირად Facebook გვერდზე დაიდო ინციდენტამდე ერთი დღით ადრე, 21 მაისს. ფოტოზე გამოსახული მუშტმოღერებული ბრალდებულები ნოშრევან წურწუმია, გიო უბილავა და გიგა ტყემალაძე არიან, იქვეა ფოტოს სათაური – „გასვლა“. ასევე, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ კადრებში ისმის სავარაუდოდ მოძალადეების ხმები კონკრეტული პოლიტიკოსების მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების მოწოდებით. აღნიშნული კი, ერთობლიობაში დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით უთითებს კონკრეტული პირების მიერ წინასწარი განზრახვით, ძალადობით ჩადენილი პოლიტიკური ნიშნით დევნის თაობაზე, იმ პირთა მიმართ, ვისაც განსხვავებული, მმართველი პოლიტიკური გუნდის საწინააღმდეგო, პოლიტიკური შეხედულებები აქვს.

სამართალდამცავთა მიმართ დაუმორჩილებლობის და მათთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების კონტექსტში აუცილებლად უნდა განვიხილოთ სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სავარაუდო ჩადენის საკითხიც. აღნიშნული მუხლი გულისხმობს წინააღმდეგობას, მუქარას ან ძალადობას საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით. დანაშაულს ამძიმებს ქმედების ჯგუფურად განხორციელება.

კორცხელის შემთხვევაში სახეზე იყო სამართალდამცავთა მიმართ აშკარა და უხეში წინააღმდეგობა, გამოვლინდა პოლიციელების ფი-

dos nor exclude the elements of crime envisaged under article 353 and in certain cases taking into consideration the bodily injuries of the policemen, the alleged existence of the elements of other crime in conjunction with this crime can't be excluded. As the violation against representatives of authorities, which resulted the less grave bodily injury falls within the scope of Article 353, in case of more grave bodily injury, the act should be qualified with cumulative crimes.

Article 353 – Resistance, threat or violence against a protector of public order or other representative of the authorities

1. **Resistance, threat or violence against a protector of public order or other representative of the authorities using violence or threat of violence, which aims to interfere with the protection of public order, terminate or modify the activities of the above person, or coercing him/her into committing a clearly unlawful act using violence or threat of violence, – shall be punished by a fine or restriction of liberty for up to three years or with imprisonment for a term of two to five years.**
2. **The same act committed by a group – shall be punished by imprisonment for a term of four to seven years.**

Proportionally to the intensity and quality of the non-compliance to the law enforcement official's lawful demand, in certain cases not even administrative detention was used, besides the fact, that they are empowered to use these measures according to the relevant norms of the administrative offences code of Georgia (Article 173)

ზიკური დაზიანებების შემთხვევები (იხ. ზემოთ) რაც არ გამორიცხავს სსკ-ის 353-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს და გარკვეულ შემთხვევაში, პოლიციელის ჯანმრთელობის დაზიანების შეფასების გათვალისწინებით, არ არის გამორიცხული ამ დანაშაულთან ერთობლიობაში სხვა დანაშაულის ნიშნების სავარაუდო არსებობაც. ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის ფარგლებში ექცევა სახელმწიფოს წარმომადგენლის მიმართ განხორციელებული ძალადობა, რამაც ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება გამოიწვია, ჯანმრთელობის უფრო მძიმე ხარისხის დაზიანების შემთხვევაში, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით.

მუხლი 353. წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ

1. **პოლიციის მუშაკის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით, აგრეთვე აშკარა უკანონო ქმედებისათვის მისი იძულება, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.**
2. **იგივე ქმედება, ჩადენილი ჯგუფის მიერ, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.**

Article 173 – Non-compliance with a lawful order or demand of a law-enforcement officer, military service person, officer of the Special State Protection Service or enforcement police officer or commission of any other illegal act against such person

Non-compliance with the lawful order or demand of a law-enforcement officer, military servant, officer of a Special State Protection Service or enforcement police officer or verbal abuse of and/or any other abusive act against such person while such person is in the line of duty (except as provided by the Criminal Code of Georgia), shall carry a fine from GEL 250 to 2 000 or an administrative penalty of up to 15 days.

The alleged elements of one more crime is seen from Kortskheli incident, article 154 (CC) – concerning unlawful interference with the journalist's professional activities, which was expressed in aggression against media representatives from violators, in particular, interference during recording the incident, insulting them and throwing different things to their direction. Also according to published information, the violators took one of the journalist's cell phone and erased the recorded materials.

სამართალდამცავებს მათი კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ინტენსივობისა და ხარისხის პროპორციულად, რიგ შემთხვევებში, არც ადმინისტრაციული დაკავება გამოუყენებიათ, რის უფლებამოსილებასაც მათ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი ნორმები ანიჭებს (ადმ. სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი).

მუხლი 173. სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის ან აღსრულების პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის ან აღსრულების პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა, ან/და მის მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება (გარდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევისა) – გამოიწვევს დაჯარიმებას 250 ლარიდან 2000 ლარამდე ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.

Article 154 – Unlawful interference with the journalist's professional activities

1. Unlawful interference with the journalist's professional activities, i.e. coercing a journalist into disseminating or not disseminating information, – shall be punished by a fine or community service from 120 to 140 or with corrective labor for up to two years.
2. The same act committed using threat of violence or official position, – shall be punished by a fine or imprisonment for up to two.

კორცხელის ძალადობრივ ინციდენტში იკვეთება კიდევ ერთი დანაშაულის სავარაუდო ჩადენის ნიშნები, ეს არის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლი, რაც ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონო ხელის შეშლას გულისხმობს, რაც გამოიხატა მოძალადეების მიერ მედიის წარმომადგენლების მიმართ აგრესიაში კერძოდ, ჟურნალისტებს უშლიდენენ ხელს გადაღების პროცესში, აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას და მათი მიმართულებით ისროდნენ სხვადასხვა ნივთებს. ასევე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ერთ-ერთ ჟურნალისტს წაართვეს ტელეფონი და მასალა წაუშალეს.

მუხლი 154. ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა

1. **ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ესე იგი მისი იძულება, გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისაგან, – ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოცდან ას ორმოც საათამდე ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე.**
2. **იგივე ქმედება, ჩადენილი ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.**

დასკვნა 8 CONCLUSION

კორცხელის ძალადობრივი ინციდენტი და მის შემდგომ განვითარებულ მოვლენათა ქრონოლოგია ნეიტრალურ დამკვირვებელს უჩენს საფუძვლიან ეჭვს სახელმწიფოს მხრიდან აზრის/პოლიტიკური შეხედულების და არჩევანის თავისუფლების წინააღმდეგ მიზანმიმართული ქმედებების განხორციელების თაობაზე.

შემაშფოთებლად მიგვაჩნია ძალადობის ასეთ შემთხვევებზე სამართალდამცავი ორგანოების უმოქმედობა. დანაშაულებრივი ქმედებების კვალიფიკაციაზე უარის თქმა ან მათი არასრული/არასწორი კვალიფიკაცია, კანონის მოთხოვნათა უხეში უგულვებელყოფა, უარის თქმა საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და მართლწესრიგის საფრთხისგან დაცვაზე უხეშად არღვევს ადამიანის უფლებებს და უნდობლობას აღრმავებს სამართალდამცავი ორგანოების მიმართ. ამ უკანასკნელის მხრიდან მსგავსი უმოქმედობა აძლიერებს ეჭვს ხელისუფლების მიერ მოძალადეთა მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებასა და მხარდაჭერის თაობაზე.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირთა მონაწილეობა პოლიტიკური ძალადობის წაქეზებასა და მის სავარაუდო ორგანიზებაში. მიგვაჩნია, რომ საგამოძიებო ორგანოებმა უნდა შეძლონ კონსტიტუციით გარანტირებული კანონის უზენაესობის დაცვა და ჩაატარონ სწრაფი, ეფექტური და გამჭირვა-

The incident happened in Kortskheli and the chronology of the events happened afterwards, creates a reasonable doubt about the state's targeted actions against freedom of opinion/political views and freedom of choice.

We consider the law enforcement body's inaction to this kind of acts of violence particularly alarming. Waiver to the qualification of criminal acts or their incomplete/incorrect qualification, disregard of the requirements of law, denial of ensuring public security and legal order, causes gross violation of human rights and deepens distrust of law enforcement bodies. This kind of inaction reinforces the suspicion about the government's loyal and supportive attitude to the violators.

The high-ranking official's participation in the abetting the political violence and its alleged organization is especially concerning. We think, that the law enforcement bodies should ensure protection of the rule of law, guaranteed by the constitution and conduct fast, effective and transparent investigation, which will increase society's trust to law enforcement bodies and releases suspicions about their use as a weapon in politics.

ლე გამოძიება, რომელიც გაზრდის სამართალდამცავი ორგანოების მიმართ სანდოობას და გააქარწყლებს ეჭვებს პოლიტიკაში მათ იარაღად გამოყენებასთან დაკავშირებით.

ამავდროულად, 2016 წლის არჩევნების მშვიდობიან გარემოში ჩასატარებლად, სადაც გარანტირებული იქნება ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენა და ინფორმირებული არჩევანის გაკეთება, აუცილებელია სახელმწიფომ ეფექტური ზომები მიიღოს კორცხელში ჩადენილი ძალადობის ფაქტების სრულად და ეფეტურად გამოსაძიებლად, მოძალადე პირების გამოსავლენად და მათ მიმართ სწრაფი მართლმსაჯულების განსახორციელებლად. აღნიშნულის მისაღწევად მნიშვნელოვანია რაც შეიძლება მოკლე ვადებში მოხდეს კორცხელში მოძალადე პირების მიმართ სასამართლოში საქმის განხილვის დასრულება და დამნაშავე პირების მსჯავრდება.

At the same time, in order to conduct the upcoming parliamentary elections in peaceful manner, where the free expression of the will of the voters and making informed choices will be ensured, it is crucial for state to take effective measures to fully and effectively investigate committed violence in Kortskheli reveal the violators and implement fast and efficient justice. For the achievement of this goal, it is important to finalize the court trial of violators in short terms and the conviction of criminals.